საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანებაN01–08/7

06 მარტი 20014 წ. ქ.ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან რომელთაც 2014 წელს გაუვიდა ავტორიზაციის ვადა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 5 მარტის №106 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან რომელთაც 2014 წელს გაუვიდა ავტორიზაციის ვადა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადები:

   ა) დოკუმენტაციის მიღება, კრედიტების აღიარება და სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2014 წლის 11 მარტი;

2. მობილობა განხორციელდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2014 წლის 20 იანვრის №01-08/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის წესის შესაბამისად;
3. დაევალოს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს ბსუ-ში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის კოორდინირება;
4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;
5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

რექტორის მოადგილე **ი. ბარამიძე**